

# ჩემი საზნაურო

## ამბავის აკილო

„თანამდებო სული“ გრიუსელში მიიწვიეს

ბელგიის სამეფოს წმ. თამარ მეფის სახელობის ქართველ მართლმადიდებელთა ასოციაციის კულტურის ცენტრმა ხარაგაულის სახალხო თეატრის წარმართული სპექტაკლი „თანამდებო სული“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) გაზაფხულზე ბრიუსელში მიიწვია. „წმ. ილია მართლის სულიერ საგანძურთან ზიარებას უცხოეთში მცხოვრები ქართული დიასპორისთვის, მისი ახალგაზრდა თაობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თეატრის 8 მსახიობის მომსახურების ხარჯებს (ადგილზე გადაადგილება, დარბაზის დაქირავება, სასტუმრო, კვება და სხვა კულტურული ღონისძიებები) ასოციაცია თავის თავზე იღებს,“ - ნათქვამია წერილში, რომელიც ხარაგაულის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასოციაციისგან მიიღო.

## ამბულატორია თუ საავადმყოფო?

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ხარაგაულის“ დირექტორი **ქვიციანი ანდრეასი** ინფორმაციით ხარაგაულში ამბულატორიის აშენებაზე მსჯელობენ. ხარაგაულელი ექიმების თქმით, უმჯობესია აშენდეს ან მოწყობა საავადმყოფო 15 საწოლზე მაინც. „ხარაგაულში ამბულატორიის მოწყობას შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ იმ გათვლებით ვეთავაზობს, რომ საავადმყოფოს საკმარისი დატვირთვა ვერ ექნება და შემოსავალი ხარჯებს ვერ დაფარავს. „ხარაგაულის საავადმყოფოში პაციენტებისა და სპეციალისტების ნაკლებობა პირობების არარსებობას უკავშირდება, - ამბობს ქეთევან აბრამიშვილი, - თუკი ხარაგაულში მკურნალობისთვის საჭირო პირობებს შევქმნით, სპეციალისტებიც დაინტერესდებიან აქ მუშაობით და აღარც ხარაგაულელები წავლენ სხვაგან სამკურნალოდ.“

## კონკურსში გიმნაზიის გუნდმა გაიმარჯვა

კონკურსში „ვიცნობდეთ ხარაგაულს“ ხარაგაულის გიმნაზიამ გაიმარჯვა. ფინალში მონაწილე - გიმნაზიის, ბორის, ვერტყვიჭაღლისა და ვახანის საჯარო სკოლების გუნდები პრიზებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ. რესურსცენტრის პრიზი „ყველაზე აქტიური მონაწილე“ არჩილ მაისურაძეს გადაეცა. გამრჯებულნი გუნდის ყველა წევრი დასაჩუქრდა იმა ვეფხვაძის წიგნით „ხარაგაული.“ შიგა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი ფინალისტებს ზვარეში კარვების ბანაკში დასვენებას დაჰპირდა, გამგებელი კობა ლურსმანაშვილი კი ექსკურსიის დაფინანსებას.

## ინიშნა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი

ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად განიხილეს. საგარეულოდ, სკოლაში დანახარჯები გაერთიანება 500 ათ. ლარით დაფინანსდება, საბიბლიოთეკო გაერთიანება - 126 ათ. ლარით, კულტურის ცენტრი - 165 ათ. ლარით, „ახალი ხარაგაული“ - 25 ათ. ლარით, ხალხური შემოქმედების სახლი - 50 ათ. ლარით, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ერთი მსახიობის სახალხო ლიტერატურული თეატრი - 46 ათ. ლარით, ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი - 100 ათ. ლარით, საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა-2009“ - 100 ათ. ლარით, „ხარაგაულე კეთილმოწყობა“ - 212 ათ. ლარით, „ხარაგაულდასუფთავება“ - 200 ათ. ლარით, სათნოების სახლი - 70 ათ. ლარით, ჯანდაცვის ცენტრი - 95 ათ. ლარით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 80 ათ. ლარით, სამუსიკო სკოლა - 90 ათ. ლარით, სასპორტო სკოლა - 130 ათ. ლარით, ისტორიული მუზეუმი - 70 ათ. ლარით.

## ლორეანში აღმინისტრაციული შენობა გარემონტდება

გამგებობიდან მოწოდებული ინფორმაციით, მუნიციპალური განვითარების ფონდი სოფელ ლორეანში აღმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაფინანსებს. ამის შესახებ განკარგულება მთავრობამ 18 ნოემბერს გამოსცა.

## პენიონატის შენობის რეაბილიტაცია იანვრის ბოლოს დასრულდება

ხარაგაულის კინოთეატრის შენობის რესტავრაცია აქტიურად მიმდინარეობს. სამშენებლო უბნის უფროსის, **ჯორჯა ლომასაძის** ინფორმაციით, „ამჟამად ილესება გარე ფასადი, ჩაისვა მეტალოპლასმასის ფანჯრები, იწყება ამფითეატრისა და მოძრავი სცენის დამონტაჟება. გვერდითი ფლიგელი დაიხურა და შენობა უახლოეს მომავალში გადაიხურება. კინოთეატრის შენობის რეაბილიტაცია იანვრის ბოლოსთვის დასრულდება.“

## გამრიცხველიანება გრძელდება

სს „ენერჯო პრო ჯორჯიან“ მიღებული ინფორმაციით, 2013 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 6 სოფლის ინდივიდუალური გამრიცხველიანება იყო დაგეგმილი. სოფლებში - დიდვაკეში, საქარბასა და ნაქეში გამრიცხველიანება უკვე დასრულდა და საერთო ჯამში 337 აბონენტს ახალი მრიცხველი დაუმონტაჟდა. ისინი მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადს თავიანთი მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადაიხდიან. გარდა ამისა, ამ სოფლებში 10 000 მეტრზე მეტი სადენი და 70-ზე მეტი საყრდენი შეიკვალა. წლის ბოლომდე დასრულდება სოფლების - ვანის, ვარძიისა და სხლითის 686 აბონენტის გამრიცხველიანება და ასევე, აღნიშნული სოფლების 37 ათასი მეტრი სიგრძის ელექტროქსელის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წლის ბოლომდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, საერთო ჯამში, გამრიცხველიანებული იქნება დაახლოებით 5 900 აბონენტი. სოფლების გამრიცხველიანების პროგრამა 2015 წელს დასრულდება. მომავალ წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2 400 აბონენტი, ხოლო 2015 წელს - კიდევ 2 300 აბონენტი გამრიცხველიანდება.

## ლელვანში წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი იკურთხა



მ-8 მ-3.

## „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ისევ სახელფასო ბიუჯეტი“

2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გასულ პარასკევს დაიწყო. გამგებობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **ვლადიმერ გელაშვილის** ინფორმაციით, 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 5 444 100 ლარით განისაზღვრა. აქედან საკუთარი შემოსავალი ერთი მილიონი ლარი, დანარჩენი თანხა ტრანსფერია. ტრანსფერიდან, 4 444 100 ლარიდან, 138 ათასი ლარი არის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის და ფინანსდება გამგებობის სამხედრო სამსახური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს ჯარიმებსა და სანქციებს და ის 820 ათას ლარს შეადგენს. 280 ათასი ლარი ადგილობრივი გადასახდელები, მოსაკრებლები და ბანკის პროცენტია.

„ქვეყანა ბოლო ორი წელია გადასულია პროგრამულ ბიუჯეტზე, რაც ითვალისწინებს თანხის მოთხოვნას პროგრამების მიხედვით, - ამბობს **ვლადიმერ გელაშვილი**, - საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი

ბიუჯეტი კი სრულყოფილი არ არის და მხოლოდ მშრალი ციფრებია. თავდაპირველად მათგან წარმოდგენილი თანხა შეადგენდა 6 მილიონ ლარს. ჩვენ ვავიარეთ კონსულტაცია ფინანსთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში, სადაც გვითხრეს, რომ ვარკვეული კატეგორიის ხარჯებს არ დაუშვებენ. ამიტომ ტრანსფერი შეგვიმცირეს. შემდეგ პროცესებში მასობრივი დეპუტატი ჩაერთო და მისი მხარდაჭერით 4 444 100 ლარი დაგვიმტკიცეს. ამან მოგვცა ხარჯების გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ისევე, როგორც გასულ წლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ისევ სახელფასო ბიუჯეტია. ეს ძალიან ცუდია. სოციალური სფერო იქნება ჩვენი პრიორიტეტი და ამ კუთხით 295 700 ლარს ვითვალისწინებთ, მაგრამ ეს ცოტაა. გზებზე გათვალისწინებულია 200 ათასი ლარი, ხიდ-ბოვირებზე-60 ათასი ლარი, 15 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების გასაწმენდად. დანარჩენი თანხა მთლიანად ხელფასებზეა განხორციელებული.“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ თავის მოსაზრებას გამოთქვამს მაჟორიტარი დეპუტატი **ნოდარ მგალობელი**. მისი თქმით, ხარაგაულში მართო ხელფასებზე გათვალისწინებულია 3,5 მილიონ ლარზე მეტი ანუ მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 63%. ეს დეპუტატის შეფასებით არის კატასტროფა. „იმ ადამიანებისთვის იქნება ცუდი, ვინც ახლა არიან ტყუილად დასაქმებულები, რომ ერთ დღეს დამთავრდება ეს მარაგები და ცხოვრების წინაშე აღმოჩნდებიან უმუშევრები და უცოდინარები, რადგან არ მალდება მათი კვალი იფიკაცია. სამწუხაროდ, მათ არ აქვთ კონკრეტული დავალებები,“ - ამბობს დეპუტატი.

ნოდარ მგალობელი ყურადღებას ამახვილებს აუდიტის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც ბიუჯეტიდან გაზეთის დაფინანსება თანხების არაეკონომიური ხარჯებაა. „მომავალ წელს ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 25 ათასი ლარი. გაზეთს და პრესის ორგანოს კი არა, დამოკიდებულებას ვერჩი,“ - ამბობს დეპუტატი.

ნოდარ მგალობელი არაეფექტურად თვლის კულტურის ცენტრის დაფინანსებისთვის გამოყოფილ თანხას, რადგან კულტურულ ცხოვრებას

მ-2 მ-3.



# “მოსახლეობას ექნება საშუალება თავისი საზოგადოებრივი ინტერესი საკრებულოში მიიტანოს“

### საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მეთაურისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს თვითმმართველობის ახალი კოდექსი გააცნოს, რომლის მიხედვითაც უახლოეს მომავალში ქვეყანაში რეფორმა უნდა დაიწყოს.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი უკვე პარლამენტშია წარდგენილი და საკრებულოში, საშემოდგომო სესიაზე უნდა დამტკიცდეს.

ახალი კოდექსის მიხედვით, რეფორმის ნაწილის გახორციელება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე უნდა მოხდეს, დანარჩენი ნაწილი კი, რამდენიმე წელზეა გათვლილი და ეტაპობრივ ცვლილებებს ითვალისწინებს.

თვითმმართველობის რეფორმის შედეგად გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და დღეს არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქთან ერთად, ეს სტატუსი დამატებით ცამეტ ქალაქს მიენიჭება. თვითმმართველი ქალაქების მიმდებარედ ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ფორმირდება. თვითმმართველი ერთეულების – ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველი ორგანოები არჩევითი იქნება.

გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმომადგენელი იქნებიან მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები და ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მხარის/რეგიონის დონეზე.

როგორც რეფორმის ინიციატორები განმარტავენ, კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სოფლების მცხოვრებთა საჭიროებების გამოვლენას და მათ გადანაცვლებას შეუწყობს ხელს.

კანონპროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ რეფორმის შედეგად, ქვეყნის მასშტაბით მოხდება ქალაქებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაუახლოვდება საკუთარ მოსახლეობას, რაც გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის დონეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი.

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი**, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებაში პარლამენტში წარდგენილი თვითმმართველობის კანონპროექტზე მომხსენებლად დადანიშნული, ამბობს: “რაიონებში მუნიციპალიტეტის დონეზე უნდა შეიქმნას მთავრობა, რომელიც, ფაქტობრივად, მუნიციპალური ხელისუფლება იქნება. სწორედ ეს ხელისუფლება მოსახლეობის პრობლემებზე საკითხებს არა თბილისში, არამედ ადგილობრივ დონეზე, რაიონში გადაწყვეტს.

ამ კოდექსით მოხდება ტერიტორიული თვითმმართველობის ოპტიმიზაცია, რაც გამოიხატება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდაში და შემდგომ, ახალი თემების ფორმირებაში. ეს რამდენიმეწლიანი პროცესია.

სოფლის და ქალაქის მოსახლეობას

ექნება საშუალება, თავისი საზოგადოებრივი ინტერესები საკრებულოში მიიტანოს.

კოდექსის პროექტით განისაზღვრა გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, მუნიციპალიტეტების გაერთიანების ფორმირება, რომელსაც კოლეგიალური ორგანო ეყოლება; ასევე, გათვალისწინებულია რეგიონებზე ცალკეული ფუნქციების გადაცემა; ისეთი ფუნქციების, რომლებიც ასოცირებულია შიდა გზების ნაწილთან, ასევე ინფრასტრუქტურის საკითხებთან, სოციალურ საკითხებთან და ა.შ. ამასთან, განისაზღვრა როგორ ფუნქციონირებს სწავლების სისტემა, მოხელეთა საშტატო ერთეულებთან დაკავშირებული საკითხები – თუ როგორ შეიძლება ოპტიმალური იყოს საშტატო ერთეულების და ხარჯების ნაწილი”, – ამბობს შერგელაშვილი.

რაც შეეხება გუბერნატორის ინსტიტუტს; საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილს შენიშვნები ჰქონდა, რომ ახალ კოდექსში ეს ინსტიტუტი აღარ უნდა დარჩეს. შერგელაშვილი ამბობს, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმებას საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდება, რაც ამ ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

“გუბერნატორის ინსტიტუტი კონსტიტუციით არის განსაზღვრული და ეს კანონი ამას ვერაფრით შეცვლიდა. სანამ კონსტიტუციაში არსებობს გუბერნატორის ინსტიტუტი, ასევე დარჩება. თუ კონსტიტუციაში შეიცვლება ეს ნაწილი (რის გამოც, როგორც მე ვიცი, საკონსტიტუციო კომისია უკვე იქმნება), შესაბამისად, ამ კანონშიც შეიცვლება”, – ამბობს შერგელაშვილი.

შეხვედრაზე, რომელიც რეგიონული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შედგა, არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა “SIDA”, 30-მდე შენიშვნა და რეკომენდაცია წარმოადგინა.

“რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელშიც 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული, მოვამზადეთ შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც სამინისტროს წარმომადგენლებს გადავცანი. მიგვაჩნია, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის შენარჩუნება არ იქნება წინადადებული ნაბიჯი, რომელიც კოდექსის ამ ვერსიით ისევ არის შემოთავაზებული. ასევე, მიგვაჩნია, რომ რეგიონი ანუ ე.წ. მუნიციპალიტეტების გაერთიანება საკუთარი კომპეტენციებით მაქსიმალურად უნდა იყოს გამოიყენებული მუნიციპალიტეტისგან, რათა რეალური თვითმმართველობა გახორციელდეს.

ეს გაერთიანება თვითმმართველობის კოდექსის ერთ-ერთი სიახლეა და მისმა ამოქმედებამ, მუნიციპალური დონეზე თვითმმართველობის დაკნინება არ უნდა გამოიწვიოს. ასევე, ბუნდოვანია მუნიციპალიტეტების ქონებრივი და ფინანსურ საკითხები.



რეგიონული მედიისა და მესამე სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე



შეხვედრა ზუგდიდში



შეხვედრა ოზურგეთში

ამასთან, მიგვაჩნია, რომ თვითმმართველ ქალაქებში სასურველია შემოვიდეს საუბრო საბჭოების სისტემა და არა საზოგადოებრივი საბჭოები; ასევე, ვფიქრობთ, რომ უფრო მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი თვითმმართველობის მოქალაქეებთან ანგარიშგების საკითხები”, – ამბობს გაერთიანების წარმომადგენელი ზვიად დევიდარიანი.

ამავე შეხვედრაზე საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელმა ია მამალაძემ თქვა, რომ რეალური თვითმმართველობის გახორციელება ეფუძნება სახელისუფლებო ნებას, თუმცა პროცესები, რომლებიც რეალურ თვითმმართველობას დაამკვიდრებს, ფართო საზო-

გადოების შეთანხმების საგანი უნდა იყოს; ამიტომ, ყველა შენიშვნა თუ ალტერნატიული მოსაზრება დაწვრილდება უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პროექტის გაცნობის მიზნით, უკვე შეხვდა თბილისის, გორის საკ-

რებულოს წევრებსა და მერიის წარმომადგენლებს, თვითმმართველობაში მომუშავე ქალთა ქსელს, საზოგადოებითი უნდა იქნეს განხილული.

მოამზადა თამაზ კაკაურიძემ

მოამზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის “ღია საზოგადოება – საქართველოს” მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.



# ნოდარ ებანოიძე - ჩემი დეპუტატი

## საქმიანობა საარჩევნო ოლქში შეხვედრები მოსახლეობასთან

ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე ვახანის, ვარძიის და ბორითის ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობას შეხვდა. ადგილზე გაეცნო მათ პრობლემებს. მოინახულა ბორითის საბავშვო ბაღი, მაქათუბნის ხიდის მშენებლობისთვის შერჩეული ადგილი, საუბნო გზებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები. დეპუტატმა მოსახლეობასთან შეხვედრისას ისაუბრა სამომავლოდ ბორითში მუნიციპალური ცენტრის შექმნაზე, რაც სხვა დატვირთვას მისცემს ბორითსა და მის მიმდებარე ტერიტორიულ ერთეულებს. ვახანის მოსახლეობამ მაჟორიტარ დეპუტატს დახმარება სთხოვა. სოფლის ცენტრიდან ზედა ვახანთან მისასვლელი 2 კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთი მთლიანად მწყობრიდანაა გამოსული. დეპუტატი მოსახლეობას დაპირდა, რომ აღნიშნულ საკითხს დასვამს შესაბამის ინსტანციებთან და იმედოვნებს, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება. "როცა საგზაო ინფრასტრუქტურაზე მიდის საუბარი, ყოველთვის მთავარ გზებზე კეთდება აქცენტი, ხოლო პერიფერიული გზები რჩება ისევ ცუდ მდგომარეობაში. აღმოჩნდება ხოლმე, რომ ადამიანები ღვთის ანაბარად არიან დარჩენილები. უნდა გაკეთდეს აქცენტი იმ პროექტებზე, რომლებსაც მაღალი ეკონომიკური ეფექტი და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგალითისთვის, დაბა ხარაგაულს, რომელიც ქალაქის ტიპის დასახლებაა, არ აქვს საკანალიზაციო სისტემა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ პროექტის გაკეთებაზე. სამწუხაროდ, მხოლოდ ფინანსური რესურსის კი არა, მუშაობის პრობლემა გვაქვს,"- აღნიშნა ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა 29 ოქტომბერს გამართულ რიგგარეშე საკრებულოს სხდომაზე.



## საქმიანობა პარლამენტში

საქართველოს პარლამენტში შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია, რომელსაც კვლავ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, ნოდარ ებანოიძე უხელმძღვანელებს.



### თვითმმართველობის კანონპროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტში თვითმმართველობის კანონპროექტის განხილვა დაიწყო. რეფორმის შედეგად გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, მოხდება მუნიციპალიტეტების დაყოფა, თვითმმართველი რგოლები იქნება არჩევითი. სოფლებში შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭოები, რაც სოფლის მაცხოვრებელთა რეალური საჭიროებების გამოვლენასა და მათ გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.



# სიახლე საარჩევნო ოლქიდან მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, შოთა მურღულიამ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატ ნოდარ ებანოიძესა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა. წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 3 მილიონ 300 ათასი ლარი გამოიყო. შედარებისთვის, შარშან ეს ციფრი მხოლოდ 1 მილიონ 60 ათას ლარს შეადგენდა.



შეხვედრაზე ისაუბრეს უბისა-სარგვეში-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების მოძიებაზე და ასევე ტურისტული ზონის მიმდებარე სოფლების (ხიდარი, მარელისი, ფარცხნალი და ა.შ.) ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მნიშვნელობაზე. „ყველაფერი გონივრულადაა დაგეგმილი. მიმდინარეობს მუშაობა სხვა პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებითაც. დიდი ხანია ხარაგაულში ასეთი მშენებლობა არ ყოფილა. იმედი გვაქვს, კარგად დავასრულებთ ამ პროექტებს, რაც საფუძველი იქნება იმისა, რომ მომავალ წელს უფრო თამამად წარვადგინოთ განსახორციელებელი პროექტები. იმედია, ცხოვრება გამოცოცხლდება და ხალხი აღარ დატოვებს აქაურობას,“ - განაცხადა ნოდარ ებანოიძემ. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს შორის გაიმართა მოლაპარაკება დაბა ხარაგაულისა და მიმდებარე სოფლების (ისლარი, ფარცხნალი) გაზომარაგებასთან დაკავშირებით. სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ დაბის ტერიტორიაზე წლის ბოლომდე დასრულდება გაზიფიცირება. სამინისტროდან მონოდებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა, ხარაგაულის ტერიტორიაზე მიკრო ჰიდრო ჰესების მშენებლობა დაიწყოს. აღნიშნულ საკითხებზე იგეგმება მსჯელობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაინტერესებულ პირებთან.

### დაგვიკავშირდით

საოლქო ბიურო  
**მისამართი:**  
 9 აპრილის ქ. N15,  
 ხარაგაული  
**ტელეფონი:** 0 433 22 00 41

საპარლამენტო ოფისი  
**მისამართი:**  
 ი.აბაშიძის # 26, ქუთაისი  
**ტელეფონი:** 032 2 28 90 06

**ვებგვერდი:**  
 kharagauli.majoritarian.ge  
**ელფოსტა:**  
 kharagaulisbiuro@gmail.com

### სასარგებლო ნომრები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა:  
 (0433) 22 15 20  
 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო:  
 ( 0433) 22 14 44  
 სახანძრო-სამაშველო სამსახური:  
 111  
 სასწრაფო-სამედიცინო დახმარება:  
 113  
 საპატრულო პოლიცია:  
 122  
 ხარაგაულის საჯარო რეესტრი:  
 577 62 02 23

## უკუკავშირის ფორმა

შეავსეთ და დაგვიბრუნეთ

როგორ აფასებთ დეპუტატის საქმიანობას?

სახელი: \_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_

ტელეფონი: \_\_\_\_\_

ელ. ფოსტა: \_\_\_\_\_

მობილური ტელეფონი: \_\_\_\_\_

გთხოვთ დააბრუნოთ მისამართზე: 9 აპრილის ქ. N15, ხარაგაული

# „სასოფლო თემების კიდევ უფრო გამსხვილება დაუძლეველი ამოცანა იქნება“

**საქართველოში თვითმმართველობის ძირითადი რეფორმა იწყება. საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი საპროექტი უკვე პარლამენტშია წარდგენილი და სავარაუდოდ, სავარაუდოდ, სავარაუდოდ განიხილება. ახალი კოდექსის მიხედვით, რეფორმის ნაწილის განხორციელება 2014 წლის აღმოსავლეთი თვითმმართველობის არჩევნებამდე უნდა მოხდეს, დანარჩენი კი, რაიმეხნამდე წავლნა გათვლილი და პატარაობის ცვლილებებს ითვალისწინებს. არასამთავრობო ორგანიზაციების და მსხვერპლის ნაწილი რეფორმის ნაკლებ და განხორციელება არსებულ იურიდიულ პრობლემებზე საუბრობს.**

„საქართველოს აღმოსავლეთი თვითმმართველობის პროექტი ასოციაციის“ მხარდაჭერით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა ალტერნატიული კანონპროექტი დაარეგისტრირა საქართველოს პარლამენტში და აგრძელებს ხელმოწერებს მისი ინიციატივისთვის პარლამენტის პლენარულ სესიონებზე.

სამთავრობო პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ თვითმმართველობის რეფორმის შედეგად გაიზარდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და დღეს არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქთან ერთად, ეს სტატუსი დამატებით ცამეტ ქალაქს მიენიჭება. თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ფორმირდება. თვითმმართველი ერთეულების – ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველი რგოლები არჩევითი იქნება.

გუბერნატორის ინსტიტუტი უცვლელი რჩება, თუმცა, პარალელურად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები და ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მხარის/რეგიონის დონეზე.

როგორც რეფორმის ინიციატორები განმარტავენ, კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სოფლებში მცხოვრებთა საჭიროებების გამოვლენას და მათ გადაწყვეტას ხელს შეუწყობს.

„საქართველოს აღმოსავლეთი თვითმმართველობის პროექტი ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი, მკროვის საბჭოს აღმოსავლეთი თვითმმართველობის მართვის დამოუკიდებელ მსახურთა ჯგუფის წევრი დავით ამღვა მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის პროექტთან მიმართებაში, მთელი რიგი იურიდიული პრობლემები არსებობს; მათ შორის, რამდენიმე პრინციპული საკითხია, რომლებიც ვეროპულ ქართასთან წინააღმდეგობაში მოდის, თანაც, აუარესებს საქართველოში არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის მდგომარეობას:

– პირველი ასეთი საკითხი მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება და ე.წ. გუბერნატორებია. გუბერნატორი საქართველოს მთავრობის მიერ ინიშნება, მას ემორჩილება და მთავრობის პოლიტიკას ახორციელებს; ის არ არის თვითმმართველობის ორგანო. როცა კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა, მის წინასაარჩევნო პროგრამაში ეწერა, რომ გუბერნატორის ინსტიტუტი გაუქმდებოდა; ახლა, გუბერნატორის ინსტიტუტი არა თუ უქმდება, შემოდის თვითმ-

მართველობის კოდექსში და ენიჭება ფუნქცია თვითმმართველობასთან მიმართებაში. როგორ წარმოგიდგენიათ, თუ გუბერნატორი ამდენ ხანს, როცა კანონით ეს უფლებები არ ჰქონდა მინიჭებული, მაინც პრობლემა იყო, კანონი რომ უფლებას მისცემს, რას გააკეთებს? ყველა ის უკანონობა, რასაც ამდენ ხანს ჰქონდა ადგილი, ახლა კანონში იწერება. არ ვიცი, როგორ უნდა გაგიძლიოს კაცს შუბლის ძარღვმა, რომ ეს დემოკრატიულ მიღწევად გასაღო! კონსტიტუციაში გუბერნატორი, რა თქმა უნდა, ჩანერჩილია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანო და არა როგორც თვითმმართველობის ხელმძღვანელი. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გუბერნატორის შემოტანა იგივეა, მწილის რეცეპტი ტელეფონების ნივში რომ ჩანერჩი.

### – თქვენ თვლით, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის თვითმმართველობის სისტემაში შემოტანა უკლებიანია და რა მოხდება?

– დიახ, ეს კოდექსი, ფაქტობრივად, არის ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული მმართველობის კანონი, რითაც სახელმწიფო მმართველობა შემოდის ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში და ხდება არა დეცენტრალიზაცია, არამედ, ცენტრალიზაცია. თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული გუბერნატორი თვითმმართველობის კოორდინაციის ფუნქციას კანონიერად შეითავსებს, ასეთ შემთხვევაში, იქ თვითმმართველობა ყოველთვის დაჩაგრული იქნება. მით უმეტეს, რომ რაიონებს დამოუკიდებელი და წვრილი ერთეულები შეიქმნება, სადაც იქნება არჩეული მერი, რომელსაც ზემოდან, ადმინისტრაციული ვერტიკალის სახით, გუბერნატორი და საქართველოს მთავრობა ეყოლება. თუ ეს ასე არ არის, მაშინ გააგზავნოს შერეულაშვილმა და ნარმანიამ ეს კანონპროექტი ვენეციის კომისიაზე და რა დასკვნა მოვა იქიდან, ვნახოთ. ვენეციის კომისიაში სამინისტროს ეს კანონპროექტი არ გაუგზავნია და როგორც ვიცი, არც აპირებენ გაგზავნას, რადგან ვენეციის კომისიას ეს კანონპროექტი ვერ გაივლი.

### – გუბერნატორის ინსტიტუტის გარდა, კიდევ რა პრობლემები ხელახალი საპროექტში?

– თუ საქართველოში ვინმეს თვითმმართველობის განვითარება და საზოგადოებასთან ახლოს მიტანა უნდა, მაშინ თვითმმართველობა იმ ერთეულებს უნდა დაუბრუნოს, საიდანაც ის 2006 წელს წაიღეს - სოფელს, თემს და ქალაქს. ამ კანონპროექტით კი, მოსახლეობას შორის დისკრიმინაცია ხდება. მაგალითად, თუ ქალაქი ოზურგეთის მცხოვრებს უნდა ჰქონდეს თვითმ-

მართველობა თავის დასახლებაში, სოფელ ძიმიტის ან სოფელ ნაგომრის მცხოვრებს რატომ არ უნდა ჰქონდეს თვითმმართველობა თავის დასახლებაში?! კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ თვითმმართველობა ავტომატურად ენიჭება იმ ქალაქს, სადაც 15 ათასზე მეტი მცხოვრებია. წყალტუბოში 15 800 კაცი ცხოვრობს, ბორჯომში – 14 550; 450 კაცი აკლია თვითმმართველობის სტატუსამდე და ამის გამო, საქართველოს მოქალაქეს ქალაქ ბორჯომში სხვა უფლებები აქვს და წყალტუბოში – სხვა? ან ოზურგეთში რომ 2014 წელს აღწერა ჩავატაროთ და არ აღმოჩნდეს 15 ათასი კაცი, წართმევენ ქალაქს თვითმმართველ სტატუსს და სასოფლო თემში შეიყვანენ?

მეორე საკითხი, მაგალითად, ოზურგეთის დამლა; დღესაც შესაძლებელია, რომ ოზურგეთმა მიიღოს თვითმმართველობა, მაგრამ ამისთვის მოსახლეობის გამოკითხვა უნდა ჩატარდეს, სურთ თუ არა ამის გაკეთება. უნდა იყოს გათვლები, თუ როგორ შეეძლება დარჩენილ სასოფლო თემებს ოზურგეთის გარეშე არსებობა: ცენტრი სად იქნება, თავად ქალაქი ოზურგეთის ფინანსური მდგრადობა რა იქნება და ა.შ. მთავარია, ქალაქი თვითკმარი ურბანული ცენტრი იყოს და არა ტრაფარეტი. ამ კანონის გახორციელებით სირთულე უფრო მეტი იქნება. ქალაქი ოზურგეთი რომ გამოვა ცალკე, სად იქნება ოზურგეთის წყალმომარაგება? დღეს მისი წყალმომარაგების რეზერვუარი სოფელ გომშია. ელემენტარულად, პოლიკლინიკები, ბაზარი, თეატრები ყველა ეს ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტების დღევანდელ ადმინისტრაციულ ცენტრშია. ცალკე რომ გამოეყოფა თვითმმართველი ქალაქები, სად ექნებათ სასოფლო თემებს ეს ინფრასტრუქტურა? უმჯობესი ხომ არ იქნება, შეინარჩუნონ დღევანდელი მუნიციპალიტეტები, სადაც მასში გაერთიანებული სოფლების მოსახლეობას ექნება საშუალება მუნიციპალური ქალაქების სიკეთეებით ისარგებლოს.

ახალი კოდექსი გულისხმობს რამდენიმე სასოფლო თემის კიდევ უფრო დიდ თემებად გაერთიანებას – მაშინ, სად იქნება ცენტრი?! სოფლის მოსახლეობას ახლა ჰკონია, რომ დაანონსებული რეფორმით თვითმმართველობა ექნება საკუთარ თემში (როგორც 2006 წლამდე იყო), რწმუნებულს თავად აირჩევენ და ა.შ. მათ არ ეუბნებიან, რომ მათი მოლოდინი ფუტია – მთავრობა აპირებს რამდენიმე თემის გაერთიანებაში (საშუალოდ, ერთ გაერთიანებაში 10 ათასამდე მოსახლე რომ იყოს) და ამ ეკლექტური გაერთიანებისთვის თვითმმართველობის მინიჭებას. ეს ძალიან რთული თემაა და მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. მოსხრე ვარ დღეს არსებული სასოფლო თემების მოსახლეობას მივცეთ ის, რაც წართვეს, საკუთარი ხელისუფლების ყოლის უფლება, რომელიც მათ პრობლემებს გადაჭრის.

პირველ ეტაპზე, შეიძლება სასოფლო და საქალაქო თემების თვითმმართველობებში ბიუჯეტი არ იყოს, რადგან მო-



სახლეობა ვერ გადაიხდის მიწის გადასახადს, მაგრამ შეიძლება იყოს ხარჯთაღრიცხვა, მუნიციპალიტეტმა გამოუყოს სოფელს ფული და სოფლის პროგრამა გახორციელდეს; ეს თანხები მუნიციპალიტეტის მიერ დანიშნულმა რწმუნებულმა კი არა, თემის არჩეულმა საბჭომ უნდა განკარგოს.

სხვა პრობლემებიც წარმოიქმნება; მაგალითისთვის დაბა ნასაკირალს და სოფელ ძიმიტს მოგიყვანთ. ნასაკირალს ტყის მასივი არ აქვს, სოფელ ძიმიტს – აქვს. თუ ძიმიტის თემი დაბა ნასაკირალს შეუერთდება, ნასაკირალის მოსახლეობასაც ექნება უფლება ძიმიტის ტყე გამოიყენოს. რა მოხდება ამ შემთხვევაში, წარმოგიდგენიათ?! დღეს ძიმიტის თემიდან ნასაკირალში საქონელი რომ გადადის სოფელი საბლახოდ, ლამის პატარა სამხედრო კონფლიქტია... ან როგორ წარმოგიდგენიათ ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში რა მოხდება? ქვემო ქართლში ჩვენ გვაქვს 12-ათასიანი სოფელი მუღანლო და 2-ათასიანი სოფელი ლემშენი. როგორ წარმოგიდგენიათ ამ ორის გაერთიანება ან მატნის და ლუისის თემების გაერთიანება, იქ არჩევნების ჩატარება და ერთი მუნიციპალიტეტის შექმნა? ან რა სახელწოდებები ექნებათ ამ გაერთიანებებს? ამის ინსტიტუციონალიზაცია თუ აპირებს თენგიზ შერგელაშვილი, ეს უკვე მაქსიმუმ, საქართველოს დამლაა, მინიმუმ კი – სერიოზული სამოქალაქო არეულობა. საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე ამ კანონის მიღება დაუშვებელია! სოფლის მოსახლეობას უნდა უთხრან, რამდენიმე სასოფლო თემი უნდა გაერთიანდეს, თვითმმართველობა რომ ჰქონდეს – ანუ, ფაქტობრივად, ახალი რაიონი უნდა შეიქმნას უფრო პატარა ტერიტორიით. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძიმიტის თემში უკვე ემზადებიან და დიდი მოლოდინი აქვთ, რომ „საკუთარი“ თვითმმართველობა ექნებათ, ძიმიტის მოსახლეობამ უბრალოდ, არ იცის, რომ „საკუთარი“ თვითმმართველობა დაბა ნასაკირალის, ნაგომრის და კიდევ რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულთან საერთო ექნებათ. როცა ამას განუცხვენ, მერწმუნეთ, ამ გეგმას მხარს არ დაუჭერენ. შესაბამისად, აუცილებელია საზოგადოებამ ამ საკითხებზე წინასწარ იმსჯელოს, ალტერნატიული ვარიანტებიც განიხილოს და გადაწყვეტილება ისე მიიღოს.

ჩვენს ალტერნატიულ პროექტში გუბერნატორს თვითმმართველობასთან რაიმე კავშირში არ განვიხილავთ. ჩვენ მომხრე ვართ, მუნიციპალიტეტში ავირჩიოთ მერი და საკრებულო მაჟორიტარული წესით ისე, რომ პარტიის წევრსაც შეეძლოს მონაწილეობის მიღება და სა-

ინიციატივო ჯგუფსაც, პატარა ქალაქში, თემში და სოფელში მოსახლეობამ უნდა აირჩიოს და თავისი დასახლების ცენტრში ჰყავდეს არჩეული წარმომადგენელი. საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე დღეს 3500-მდე სოფელია, რომელიც 998 თემშია გაერთიანებული; ანუ დაახლოებით 3-4 სოფელი ერთ თემშია გაერთიანებული და მეტი რაღა უნდა გაამსხვილონ?! დუშეთის მუნიციპალიტეტში 380 სოფელი 14 თემშია გაერთიანებული, ოზურგეთის რაიონის 210 სოფელი – 40 თემში. სასოფლო თემების კიდევ უფრო გამსხვილება დაუძლეველი ამოცანა იქნება და მოსახლეობა ამას არ მიიღებს.

### – მაშინ რატომ დადბა რეფორმის ამ სახით გატარების აშენიანობა?

– არ ვიცი, ამას ხელისუფლება აკეთებს თუ ცალკეული ჯგუფი ხელისუფლებაში, თუმცა, ვხვდები, რა არის ამის გასაღები; დღეს საქართველოში საკრებულოებში 1720 ადგილია. თუ 2700 ადგილზე, ხომ უფრო გაიზარდება მანძი, რომ ცალკეული პარტიები (კოალიციის დამლის შემთხვევაში) ამ საკრებულოებში მოხვდნენ?! ან სულაც კოალიციის ერთიან სიაში ხომ უფრო მეტი ადგილი რჩება საავტოოდ? ჩემთვის პირადად, ეს ყველაფერი მეორადია. ჩემთვის მთავარია ადგილობრივი თვითმმართველობა ისე მოეწყოს, როგორც მოსახლეობას უნდა და არა ისე, როგორც ხელისუფლებას ან ცალკეულ პარტიებს აძლევს ხელს. შემოთავაზებული სისტემა იმთავითვე მყიფე იქნება და არ იმუშავებს. ფრანგული ანდაზა ამბობს: კვერცხიდან გოგლი-მოგლის გაკეთებას ნებისმიერი შეძლეს, მაგრამ გოგლი-მოგლიდან კვერცხი არავის გაუკეთებია. ასე რომ, ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილეა საჭირო.

მთავრობის დადგენილებაში არ წერია, რომ ეს პროექტი საბოლოო ჯგუშმარტებაა. დადგენილებაში წერია, რომ პროექტი ძირითადად მოწონებულია. ამიტომაც, საქართველოს პარლამენტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თუნდაც ის შენიშვნები, რაც ამ კოდექსის მიმართ ეკონომიკის, იუსტიციის და შს სამინისტროებს ჰქონდათ. ვთვლით, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი უფრო მეტად პასუხობს ამ შენიშვნებს, ვიდრე ის, რაც თავად მთავრობამ დაამტკიცა. შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, არ იჩქაროს სამთავრობო კანონპროექტის განხილვა, აცალოს ალტერნატიულ პროექტს ხელმოწერების შეგროვება და ერთად იმსჯელონ ორივე დოკუმენტზე.

მოამზადა  
თამაზ კაკაურიძემ

1 ლეკვაპირი შილსთან ბროქლის სამართავროსო ღვა

# ერთად დავემარცხოთ შილსი

შილსის პრობლემა უმწვავესია მთელ მსოფლიოში. ოფიციალური მონაცემებით, ამ განუკურნებელი სენით 57 მილიონი ადამიანი ინფიცირებული. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უამრავ დროს, ენერჯიასა და თანხებს ხარჯავენ შილსის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის, მაგრამ ჯერაც უშედეგოდ.

**ისტორიული ცნობები:** აივ ინფექცია/შილსი კლინიკურად პირველად აღწერეს აშშ-ში 1981 წელს, როდესაც პოპოსესულ მამაკაცთა შორის ზედიზედ იქნა დიაგნოსტიკური იმუნოდეფიციენციის - პნევმოცისტური პნევმონისა და კაპოზის სარკომის რამდენიმე შემთხვევა. ხოლო 1982 წელს, ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული შილსი, როგორც ახალი დაავადება. 1983 წელს შილსის გამომწვევი ადამიანის იმუნოდეფიციენციის ვირუსი ერთდროულად აღმოჩენილი იქნა პარიზში პასტერის ინსტიტუტში და აშშ-ში. აივის წარმოშობის შესახებ განსხვავებული ვერსიები არსებობს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ შილსის გამომწვევი ვირუსი არ არის ახალი - იგი ხანგრძლივად არსებობდა აფრიკის ზოგიერთ რეგიონში, ხოლო გლობალურად გავრცელდა ბოლო პერიოდში, რასაც ხელი შეუწყო აფრიკიდან იფაისიანი სისხლის ექსპორტმა ამერიკისა და ევროპის სისხლის ბანკებში. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, აფრიკის კონტინენტზე მცხოვრები მაიმუნების ზოგიერთ სახეობაში, ფართოდ იყო გავრცელებული შილსის ვირუსის წინამორბედი, რომელიც არ იყო პათოგენური ადამიანებისთვის. შემდგომ მუტაციისა ან/და სხვა ფაქტორების შედეგად, მაიმუნის ვირუსი გავრცელდა ადამიანებში. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ვირუსი მაიმუნებში იწვევს შილსის კლინიკის მსგავს დაავადებას. კიდევ ერთი გავრცელებული ვერსიის თანახმად, შილსის ვირუსი ხელოვნურად შეიქმნა ამერიკის სამხედრო ლაბორატორიაში, როგორც ბიოლოგიური იარაღი, მაგრამ ეს ვერსია თავიდანვე ნაკლებ დამატარებელი იყო და ახლა მთლიანად უარყოფილია.

**არსებობს აივ ინფექციის გადაცემის საშიშრობა:**

- დაუცველი სქესობრივი კონტაქტით (პრეზერვატივის გარეშე) აივ ინფიცირებულ პირთან;
- ინფიცირებული სისხლით - ინფიცირებული შვემონგმეგელი სისხლის გადასხმა, ზიარი არასტერილური სამედიცინო (ნემსი, შპრიცი, სკალპელი, სხვ.) და კოსმეტოლოგიური (სამართებელი, ნუნების მაკრატელი, ტატუირების ნემსი, პირსინგის ნემსი, სხვ.) ინვენტარის გამოყენება. ყველაზე ხშირად გადაეცემა ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისას, აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული ნემსების გამოყენებით და შპრიცების გამოყენებით.

ური მოხმარებისას, აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული ნემსებისა და შპრიცების გამოყენებით.

- ინფიცირებული დედიდან ბავშვზე, ორსულობის, მშობიარობის და ძუძუთი კვების დროს.

**შილსის გამოვლენა** რეკომენდირებულია ნებისმიერი ადამიანისათვის, თუ მას არსებობს ადამიანები, რომელთა ინფიცირების რისკიც, სხვებთან შედარებით ბევრად მაღალია. ესენია:

- პოპოსესულისტები;
- მეძავეები, სქესობრივი გზით გადაემდები დაავადებით სნეულები; ხშირი, შემთხვევითი სქესობრივი კავშირის მქონე პირები; ჰემოფილიით დაავადებულნი, B და C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულნი.

**შილსის კლინიკური მიმდინარეობა:**

ვირუსის (აივ-ის) შეჭრის მომენტიდან აივ-ინფექცია შესაძლებელია რამდენიმე წელი გავრძელდეს (3-10 წელი). ამ პერიოდში ადამიანი ვირუსის მატარებელია, შეუძლია ინფექცია სხვა ადამიანებს გადასდეს, მაგრამ არ აქვს დაავადების ნიშნები. შემდგომ თანდათან ვითარდება: **არაპროტირეპული ცხელება; კლინიკური საერთო სისუსტე, ღონისძიება სხეულის მასის 10%-ით და ემბი; ოფლიანობა; ლიმფური კვანძების გადიდება; ფარინგიტი, სხვადასხვა სახის გამონაჟარი კანისა და ლორწოვანი გარსების; თირკმლის ფუნქციის დაზიანება; გულისრეობა, ღებინება, ღებინება, რომელიც ახლად გამოვლენილია; მკურნალობა; ართროზი და გენერალიზებული ლიმფადენოპათია.** გარკვეული პერიოდის შემდეგ იმუნიტეტის მნიშვნელოვანი დაქვეითების ფონზე ვითარდება სხვადასხვა ინფექციური და სიმსივნური დაავადებები. სადღეისოდ აივ ინფექცია/შილსის განკურნების საშუალება არ არსებობს, მაგრამ მიღწეულია უდიდესი პროგრესი მის მკურნალობაში. დროულად დაწყებული და სწორად შერჩეული მკურნალობა თრგუნავს ვირუსის რეპლიკაციას; ახანგრძლივებს ინფიცირებულის სიცოცხლეს და ანელებს დაავადების პროგრესირებას; სისხლში ვირუსის შემცირებით ამცირებს დაავადების გადაცემის რისკს; აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

**დადასტურებულია, რომ შილსის პირუნი არ გადაეცემა აივ-ინფიცირებულთან:**

- ხელის ჩამორთმევით, შეხებით, ჩახუტებით, კოცნით;
- დახველებით, ცემინებით;

- საერთო საკვების ან ჭურჭლის გამოყენებით;
- საერთო ტუალეტით ან აბაზანით სარგებლობით;
- საცურაო აუზით სარგებლობით;
- კოლოსა, მწერების და ფრინველის ნაკვებით;
- აივ ინფიცირებულთან ურთიერთობა სამუშაო, საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო გარემოში;
- აივ ინფიცირებულთან ერთად მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

შესაბამისად არ არის საშიში აივ ინფიცირებულთან საუბარი, ხელის ჩამორთმევა, დაავადებულის მიერ გამოყენებული ჭურჭლით, თეთრეულით, ტუალეტით და აბაზანით სარგებლობა.

**როგორ ავიცილოთ თავიდან აივ-ინფექცია?**

- მოერიდეთ შემთხვევით სქესობრივ კავშირებს, ან გამოიყენეთ პრეზერვატივი. იყავით ერთგული თქვენი სქესობრივი პარტნიორის;
- ისარგებლეთ ერთჯერადი ან სათანადოდ გასტერილიზებული შპრიცით, ნემსით;
- უარი თქვით ნარკოტიკების მოხმარებაზე. ნარკოტიკების ინექციური მოხმარების შემთხვევაში არ ისარგებლოთ საერთო შპრიცით;
- აივ ინფიცირებული დედიდან ბავშვზე შილსის ვირუსის გადაცემის რისკი 2%-მდე მცირდება თუ ორსულს ჩაუტარდება;
- ანტირეტროვირუსული თერაპია;
- საკეისრო კვეთა;
- სათანადო კონსულტაციის ბავშვის ხელოვნურ კვებასთან დაკავშირებით.

**აივ-ინფექცია შილსის გავრცელების ხალხში შემოღობა ფაქტორები საპროტოკოლი**

- ნარკომანიის ფართო გავრცელება;
- საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შილსის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობა;
- სგეი-ს მაღალი პრევალენტობა;
- მოსახლეობის მზარდი მიგრაცია და ფართო საერთაშორისო კონტაქტები;
- სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი უნარ-ჩვევები ინფექციათა გადაცემის პროფილაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით;
- პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება;
- აივ/შილსის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე;

**ინფექციის გავრცელების სტატისტიკური მონაცემები საპროტოკოლი**

აივ ინფექცია/შილსის პირველი შემთხვევა საქართველოში 1989 წელს გამოვლინდა. 2013 წლის 5 ნოემბრის მონაცემებით ინფექციური პათოლოგიის, შილსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულია აივ-ით ინფიცირების 4055 შემთხვევა - 2978 მამაკაცი, 1077 ქალი, პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა. შილსი

განუვითარდა 2472 პაციენტს, 883 გარდაიცვალა. 2013 წელს გამოვლინდა 415 ახალი შემთხვევა, მათგან 41 ბავშვია.



**წითელი ლენტე:** მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ატარებს წითელ ლენტეს, როგორც აივ ინფექცია/შილსის პრობლემის გაზიარების სიმბოლოს. ეს ლენტე 1991 წელს შექმნა მხატვარმა ფრანკ მურმა. წითელი ლენტე გამოხატავს: **სოლიდარობას** მათ მიმართ, ვისაც უშუალოდ შეეხო შილსის ეპიდემია, ვინც ცხოვრობს აივ ინფექციით, მათ ახლობლებსა და მეგობრებს; **პროტესტს** აივ ინფიცირებულთა დისკრიმინაციის და სტიგმის წინააღმდეგ; **იმედს**, რომ მედიცინა სძლებს ვირუსს და დაიწყებს კაცობრიობას განადგურებისაგან.

**სტიგმა** - უძველესი წარსულიდან მოდის. იგი განისაზღვრება, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება, რომელიც „დისკრედიტირებას“ უკეთებს სხვების თვალში. აივთან ასოცირებული სტიგმა და დისკრიმინაცია გლობალური მოვლენებია, ისინი გვხვდება მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და რეგიონში. მათი წარმოშობის მიზეზი მრავალგვარია. ეს არის ამ დაავადების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაცია, სხვადასხვა მითები ინფექციის გადაცემის გზების შესახებ, ცრურწმენები. ოჯახი და საზოგადოება ხელს უწყობს სტიგმასა და დისკრიმინაციას, ნაწილობრივ მითით, ნაწილობრივ გულგრილობით და ნაწილობრივ იმით, რომ უფრო ადვილია დადანაშაულო ის, ვინც პირველი ვახდა მსხვერპლი. აივ/შილსთან ასოცირებული სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის შიში იწვევს იმას, რომ ეს ადამიანები თვითმოლაკის მიმართავენ, რამეთუ აღარ ვანიციდნ თავს საზოგადოების ნაწილად და არ მხსნენ უნარი მიიღონ მხარდაჭერა, რომელიც მათ ასე სჭირდება. საშიშია არა დაავადება, არამედ ადამიანების დამოკიდებულება დაავადებულების მიმართ. როცა არსებობს დისკრიმინაცია, ბევრს ურჩევია, არ იყოფეს საკუთარი აივ-სტატუსი და რა გასაკვირია ბევრისათვის ამ დიაგნოზის გამოხედა უფრო საშიშია, ვიდრე თავად ვირუსი. დაავადება რამდენიმე წლის შემდეგ გამოვლინდება, ხოლო აივ-სტატუსის გამჟღავნება შეუქცევად შედეგებს მოიტანს.

დავიყვანოთ ნულამდე ანუ „ნული“ - ახალ აივ ინფექციას; „ნული“ - სიკვდილი შილსის გამო; „ნული“ - დისკრიმინაციას.

**მათია გლუაშვილი**  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ექიმი-პროფილაქტიკოსი

**ფოტო:** ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი შილსის შესახებ საუბარს ატარებს ლამის საჯარო სკოლაში

## ლეკვანის ტიპილიანი ბახსენა



შვილო, ლეკვან! ერთი წელი გახდება, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ძალიან გვაკლიხარ შენს გამწარებულ დედ-მამას, შენს ცოლ-შვილს, დას, დისშვილებს და ახლო ნათესავებს, შენს დიდ სამეგობროს და ყველას, ვისაც შენთან შეეხება ჰქონია. თბილი, ფაქიზი სულის, უსაზღვროდ კეთილი შვილი იყავი. გვტყუებდა უშენობა, გვეწავტებოდა ტკივილამდე და გვეწერა, რომ შენი უკეთილშობილესი სული სიმშვიდითა და მშვიდობით უფრო და უფრო ნასვლა რჩეულთა ხვედრია და შენც იმით ავირჩია უფალმა. ერთი აუწერელია შვილიგარდაცვლილი დედის ტკივილი. შვილის სიკვდილზე მწარე და შეშარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე. ტყუილი ყოფილა, დრო იარებს კურნას. დრომ ეს იარები უფრო მტკივნეული გახადა. უშენობის ტკივილი უსაშველოა და დაუძლეველი. შენ მოგიკვდეს დედა, რომელსაც ნუთისოფელმა ბევრი სევდა, დარდი და ნაღველი არგუნა სიბერის უამს. ყველას გვიყვარხარ, ყველას გვეწავტები და ძალიან აკლიხარ შენს ოჯახს. დედის ლოცვა და დედის ანთებული სანთელი გინათებდეს ცათა სასუფეველს.

**შოროლაში ციხარი და ომარი ალაჩაძე, ცოლ-შვილი, და, სიმე, დისშვილები და ახლობლები**

## ნოდარ ტაბატაძის ცრემლიანი მოგონება



შილსის მოსაგონარს დედა არ უნდა წერდეს, მაგრამ შენს ხედავს ვერსად ნახვალ და უბედური ბედის შერიგება გინდეს. შვილო, ჩემო ერთადერთო შვილო, ჩემო მოუნელებლო ტკივილო. არ შემიძლია სიტყვებით გამოთქვა ჩემი გულსტკივილი და ტანჯვა, რაც შენი დაკარგვით განვიცადე. მესის გავადანა იყო ჩემთვის და ჩემი მშობლებისთვის შენი უცვარი გარდაცვალება. 7 წელი გავიდა მის შემდეგ და დღესაც ვერ გამოვხატავ, რომ შენი სახლის კარებს არ შემოაღებ და არ დამიძახებ - „დედა, სახლში ხარ“ - ეს სიტყვები მუდამ თან მდევს და ძილშიც ჩამესმის „დედა, სადა ხარ“.

ვაი, შენს უბედურ დედას, ერთადერთი შვილის დამკარგავს შვილო, ნოდარ. მოგიკვდეს დედა, რა უკუდმართად შემომბრუნდა ნუთისოფელი. მე უნდა მოვდიოდე შენს საფლავთან? შვილო ნოდარ! 29 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. ბედნიერი იყო ეს დღე ჩემთვის, მაგრამ უკვე მე-8 წელია, ამ დღეს უბედური დედაშენი შენს სამარადისო სამყოფელთან აღვნიშნავ შენს საყვარელ ხალხთან ერთად. ავინთებ სანთლებს. მანდ მოვილოცავ დაბადებიდან 52-ე წლისთავს და ვილოცებ შენი ლამაზი და სუბუკი სულისათვის. ნათელში გამყოფოს ღმერთმა, შვილო. დედის ანთებული სანთელმა გაგინათოს ვა სამუდამო სასუფეველში.

**შენი მარტო მძინარეული დედა თინა ახანაიური**



ველოცავთ სიკეთითა და გულის-სმიერებით გამოჩენულ ქალბატონს, ჩვენს მეგობარს **ნორა შერბილაშვილს** დაბადებიდან 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და სიხარულს თავის დიდ ოჯახთან ერთად.

**სარაგაულის რაიონული ბაზრის 70-იანი - 90-იანი წლების სტაბილური და რამდენიმე კომპანიის**

ველოცავთ ხარაგაულის რესურსცენტრის ხელმძღვანელად დანიშნულ ჩვენს სკოლის ყოფილ მოსწავლეს, თავის საქმიანობაში წარმატებულ პიროვნებას **ლევან კიკნაძეს**. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ბედნიერ სიცოცხლეს და უფლის მფარველობას თავის საუკეთესო ოჯახთან ერთად.

**სარაგაულის ღვინვა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ღვინვარეობის კომპლექსი და ტექსტილური**

ველოცავთ ჩვენს სკოლის კურსდამთავრებულს **სალომე ჭიკაბაძეს** და **პალატი ჭიკაბაძეს** მაგისტრატურაში ჩაბარებას და 100%-იანი გრანტის მოპოვებას. ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს.

**ბაგაშვილის საჯარო სკოლის კომპლექსი**

ველოცავთ ჩვენს მეგობარს და ორგანიზაციის ტერიტორიული ორგანიზაციის რწმუნებულს **კონსტანტინე ლომიძეს** ბედნიერებას. ვუსურვებთ მეუღლესთან - **ნანა ბაგაშვილთან** ერთად უღრეს სიხარულს, სიყვარულს, ღვთის წყალობას და ღამამ მოხავეყნოს.

**პარლამეტიკაში, ბარბაქაძე**

ბატონო **ლევან**, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვლოცავთ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად დანიშნულს და დაბადების დღეს. ვისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს საყვარელ ოჯახთან და კეთილისმზურველებთან ერთად. უფალმა არ მოგაკლოთ თქვენთვის ჩვეული შემართება, ძალა და ენერჯია. ყოველი დღე ბედნიერი იყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის.

**სკოლის საჯარო სკოლის თანამშრომლები**

ბატონ **ვიტალი მჭედველი** და ქალბატონ **ნანა ხიჯაბაძეს** ვლოცავთ შვილიშვილის, **ნანას** ამქვეყნად მივლინებას. ვუსურვებთ პატარა ქალბატონს განზრდილიყო ჯანმრთელი, ბედნიერი, საამაყო ქართველი.

**სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის განყოფილება**

ველოცავთ **მეზობი ჩაღუნელას** და **მზია ტაბატაძეს** შვილების - **ჯიმი ჩაღუნელისა** და **რიტა ბაძრაძის** ბედნიერებას. ვუსურვებთ ახალშეუღლებულებს ტრადიციული ქართული ოჯახის შექმნას, უღრეს სიყვარულს, სიხარულსა და შვილთა სიმრავლეს. ყოველი დღე მათთვის მზის სხივით გაბრწყინებული და ღვთის მადლით გამდიდრებული ყოფილიყოს.

**დათო ჩაღუნელი ოჯახი**

ჩემს ორ უსაყვარლეს და უნიჭიერეს ადამიანს - მძას - **ვახო მამაძეს** და ბიძაშვილს **ანი მინდრაძეს** ვლოცავ დაბადების დღეს (23 და 24 ნოემბერი). ვუსურვებ მათ სიხარულს, კარგ სწავლას და წარმატებებს. წმინდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი.

**მარიამ მამაძე**

ველოცავთ **გიორგი სულაგანიძის** დიდ ოჯახს შვილიშვილის შექმნას. ვუსურვებთ **ლავროს ზაქარაძეს** ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერ ბავშვობას და ღამამ მოხავეყნოს.

**სარაგაულის N 2 საჯარო სკოლის კომპლექსი და ტექსტილური**

ველოცავთ **მანანა კიკნაძეს** და **სპარგო მარტაძეს** ნანატრი შვილიშვილის დაბადებას. ვუსურვებთ პატარა ვაჟიკას ბედნიერ ბავშვობას, უღრეს ზეგას, ჯანმრთელობას. უფალი ფარავდეს მუდამ.

**ლევანის საჯარო სკოლის კომპლექსი, ტექსტილური, მოსწავლეები და მშრომლები**

ველოცავთ ბატონ **ლევან კიკნაძეს** ხარაგაულის რესურსცენტრის უფროსად დანიშნებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს. უფალი გფარავდეთ.

**ფაქალაქურების საჯარო სკოლის დირექტორი და კომპლექსი**

ველოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ბატონ **გიორგი ბეჟუღიანს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, უღრეს სიხარულს და ღვთის წყალობას თავის ღამამ ოჯახთან ერთად. კვლავაც სიკეთისთვის სამსახურში დახარჯულიყოთ თქვენი დიდბუნოვანი, ამაყი სულის უღრესი სიბო, ბატონო გიორგი!

**ფაქალაქურების საჯარო სკოლის კომპლექსი**

ჩვენ ყოფილ მოსწავლეს, ჩვენს მეგობარს შვილს, **კონსტანტინე ლომიძეს** ვლოცავთ ბედნიერებას. ვუსურვებთ ახლადშექმნილ მეუღლესთან ერთად უღრეს სიხარულს, უზღვავე სიყვარულს და წარმატებებს. ღმერთი ჰფარავდეს თქვენი სიყვარულით შექმნილ ოჯახს და დიდხანს ღვთის წყალობას და ღამამ მოხავეყნოს.

**სუნების საჯარო სკოლის კომპლექსი**

ველოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობრებს **საბა მანუჩიძეს** და **ანა მირზაბეგოვას**, პატარა დიდიკეთის **თამარისა** და **საბას** ამქვეყნად მოვლენას. ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ღვთის წყალობას. ცხოვრებას მშვიდობიან საქართველოში. შენეოდეთ დედა ღვთისა და უფლის მფარველობით ეცხოვროთ დიდხანს თავიანთი ოჯახების გასახარად და საბედნიეროდ.

**ღვინვა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ღვინვარეობის მ-5 კლასის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშრომლები და კლასის ხელმძღვანელი მანანა კიკნაძე**

60 წლის იუბილეს ვლოცავთ ქალბატონ **მარინა კამლაძეს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, დიდხანს სიცოცხლეს, უფლის მფარველობას საყვარელ ოჯახთან ერთად.

**ბორის საჯარო სკოლის თანამშრომლები**

**მეზობი ჩაღუნელს** და **მზია ტაბატაძეს** ვლოცავთ ვაჟიშვილის **ჯიმი ჩაღუნელის** ბედნიერებას. **ჯიმისა** და **რიტას** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს და უფლის მფარველობას.

**გიორგი ჩაღუნელი და ჭიჭიკო ზინცარიშვილი ოჯახი**

ველოცავთ **მლქა გოცაძეს** და **ტარიელ ჭანტოძეს** შვილების **ნინო ჭანტოძისა** და **სოსო გიორგაძის**, **ქრისტინა ქაშიბაძის** და **გიორგი ჭანტოძის** გაბედნიერებას. ახლადდაქორწინებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს, ღამამ ქართული ოჯახების შექმნას. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

**ბორის საჯარო სკოლის თანამშრომლები**

ველოცავთ დაბადების დღეს **გიორგი ბრიგადაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და გახარებას. განზრდილიყოთ სიხარული ვაჟიკაზე.

**მშრომლები, ბავშვები, ბავშვთა და ღვინვა**

# ლევანში ღვინვა გიორგის სახელობის ტაძარი იკუმრისა



გიორგობას ლევანში, ქვიანთის უბანში, ახალაგებული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ (კაპანაძე) სასულიერო პირებთან ერთად აკურთხა. ტაძრის მშენებლობა ამ სოფლის მკვიდრმა, საზღვარგარეთ მოღვაწე ბიზნესმენმა გიორგი შარიქაძემ დააფინანსა. მან, როგორც მეუფემ აღნიშნა, ეკლესიის აგებით მშობლების ანდერძი შეასრულა.

ლევანში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ტაძრის კურთხევის საღვთისმშობელი წირვა მოჰყვა. ყვე-

ლა ერთსულოვნად აღნიშნა, რომ სოფელში ტაძრის ამოქმედება ხელს შეუწყობს საეკლესიო ცხოვრების გაძლიერებას.

წირვის შემდეგ მეუფე დიმიტრიმ (კაპანაძე) მრევლს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და აღნიშნა, რომ წმიდა გიორგის ცხოვრება ძალიან ჰგავს ქართველი ერის ცხოვრებას. მან დიდი მადლიერებით მოიხსენია გიორგი შარიქაძე და ბრძანა, რომ ტაძრის აშენება უდიდესი საქმე და დიდი მადლია. მეუფემ რომიზონ შარიქაძის თანადრობით დალოცა ყველა, ვინც წვლილი შეიტანა ტაძრის მშენებლობაში.

ტაძრის კურთხევაზე ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი) იმყოფებოდა. მეუფეს თქმით, ყველაზე დიდ ცოდვად ითვლებოდა უფლის სახლის ხელყოფა. „დღესაც ლევანში დადის ხალხი, თუ რა უბედურება დაემართა იმ ოჯახებს, რომელთაც დაანგრეს ტაძრები. ამის საპირისპიროდ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სათნოება ტაძრის მშენებლობაა. მინდა დავლოცო ამ ტაძრის ამშენებელი, რომელმაც აღასრულა ღვთის ნება.“

მეუფე დიმიტრიმ ხარაგაულელებს ახალი მღვდელმთავრის დადგენა მიულოცა. მისი თქმით, ამას მრავალი წელია იმსახურებდა მარგვეთის ეპარქიის მრევლი. „მეუფე დიმიტრი ერთ-ერთი ღირსეული სასულიერო პირია ქართულ ეკლესიაში, - აღნიშნა მეუფემ, - აქ მომიყვანა თქვენდამი პატივისცემაში, თქვენი ახალი მღვდელმთავრისა და თქვენი თანასოფელელის, მამა პეტრეს (ყრუაშვილი), სიყვარულმა. მამა პეტრემ ამერიკაში შექმნა ვაშინგტონის თამარ მეფის სახელობის სამრევლო, ფოთადღვთის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო. ახლა ნიუჯერსში მსახურობს. დიდ საღვთო და საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს.“

სასულიერო პირებმა გიორგი შარიქაძე ბილიით დასააწუქრეს.

**ნინო კაპანაძე**

### ქურაღლება!

5 დეკემბერს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი ხარაგაულის გამგეობის დარბაზში გამართავს პრემიერას ლიტერატურული სპექტაკლისა „ლევილის მთაწმინდა“, რომელიც ეძღვნება ლევილის სასაფლაოზე დაკრძალულ ქართველებს. დასაწყისი 15 საათზე. დასრულება თავისუფალია.

ლიტერატურული თეატრი 3 დეკემბერს, 15 საათზე, წყალტუბოში გამართავს ოთხი იოსელიანისადმი მიძღვნილ საღამოს „ჩვენი ოთხი“.

**რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი**

### მეგობრანთა საყურადღებოდ!

მეგობრანთა სამამულო ომის, საქართველოს მთლიანობის, უცხო ქვეყნების ბრძოლების მონაწილეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებმაც დღემდე ვერ მოახერხეს წლიური საწევროს 2 (ორი) ლარის ჩარიცხვა. ჯერ კიდევ წინ ერთი თვე აქვთ ამისათვის. თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ ბანკში ან ჩვენს ოფისში მისამართზე - სოლომონ მეფის ქ. N48.

### უღრესი კაცობა!

უღრესი კაცობა, უღრესი ხარაგა, მერი ჭიჭიკაშვილი თანაუგრძობენ გულო ტაბატაძეს მეუღლის, მანაველ, უზანგი, მერი და მამია ტაბატაძეების სიძის

**მუხრან ლავანიაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზი ჭიჭიკაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იწყება, რომ გარდაიცვალა

**თამაზი მისურაძე**

და თანაუგრძობს ქეთინო დედ-დარიაშვილს და ამირან მისურაძეს შვილის, თონა და ზვიად მისურაძეებს დის, სოფო ჭიჭიკაშვილს მულის გარდაცვალების გამო.

ციცო, ვიტალი ხარაგაძეები თანაუგრძობენ მამა მჭედლიძეს დედის, დათო ხარაგაძის სიდედრის, გვანცასა და დათოს ბებიის

**ნელი მჭედლიძის**

გარდაცვალების გამო.

ლევანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძობს და აღრევამეს ბიძის

**ოთარ არეშაძის**

გარდაცვალების გამო.

სიმამრი მანაველი, ცოლისმეგობრი უზანგი, მამია, ცოლისდა მერი ტაბატაძეები ოჯახებით იწყებიან, რომ გარდაიცვალა სიძე

**მუხრან ლავანიაძე**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო.

ლევანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი, ტექპერსონალი და მოსწავლეები თანაუგრძობენ ლეონა ვეფხვაძესა და სოსო ცხე-დაძეს დედისა და სიდედრის

**ნათელა ლავანიაძის-ვეფხვაძის**

გარდაცვალების გამო.

ლევანის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეები თანაუგრძობენ დამრიგებელ ლეონა ვეფხვაძეს დედის

**ნათელა ლავანიაძის-ვეფხვაძის**

გარდაცვალების გამო.

სიმამრი მანაველი, ცოლისმეგობრი უზანგი, მამია, ცოლისდა მერი ტაბატაძეები ოჯახებით იწყებიან, რომ გარდაიცვალა სიძე

**მუხრან ლავანიაძე**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო.

უახლოესი მეგობრები: ნოდარი ბაბლიძე, არჩილ ზირაქაძე, ზვიადი ხარაგაძე, თამაზი სახვაძე, მურაბ დვალა, რომანი, როსტომი, ბიჭიკო, დათო, მლქა, ხვიჩა, ამირანი, ავთო, ბონდო, გიორგი, ივანე, ალექსი, თამაზი, ლეონა, ვახტანგი, გოჩა, გრიგოლი ტაბატაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ღმერთი იყოს მათი მფარველი

**ბორის საჯარო სკოლის თანამშრომლები**

ველოცავთ დაბადების დღეს **გიორგი ბრიგადაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და გახარებას. განზრდილიყოთ სიხარული ვაჟიკაზე.

**მშრომლები, ბავშვები, ბავშვთა და ღვინვა**

ღმერთი იყოს მათი მფარველი

**ბორის საჯარო სკოლის თანამშრომლები**

ველოცავთ დაბადების დღეს **გიორგი ბრიგადაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და გახარებას. განზრდილიყოთ სიხარული ვაჟიკაზე.

**მშრომლები, ბავშვები, ბავშვთა და ღვინვა**

ღმერთი იყოს მათი მფარველი

**ბორის საჯარო სკოლის თანამშრომლები**

ველოცავთ დაბადების დღეს **გიორგი ბრიგადაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და გახარებას. განზრდილიყოთ სიხარული ვაჟიკაზე.

**მშრომლები, ბავშვები, ბავშვთა და ღვინვა**